



გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
ASSEMBLY MUNICIPALITY OF GARDABANI



განკარგულება:გ-19. 19252973

თარიღი:24/10/2025

**განკარგულება №88**

**გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის სოფიკო კვანჭიანისა და მწვრთნელის შალვა აკოფაშვილის დაჯილდოების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მეორე ნაწილის, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №31 დადგენილების, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილებისა და საქართველოს ათლეტიზმის ფედერაციის 2025 წლის 6 ოქტომბრის №10-02 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

**მუხლი 1**

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №31 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის - სოფიკო კვანჭიანის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 3 000 (სამი ათასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“ და მწვრთნელის - შალვა აკოფაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 1 500 (ათას ხუთასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“.

**მუხლი 2**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს თანხის გადარიცხვა უნაღდო ანგარიშსწორებით, სპორტსმენისა და მწვრთნელის პირად საბანკო ანგარიშებზე:

სოფიკო კვანჭიანი - 3 000 (სამი ათასი) ლარი, პ/ნ ,

შალვა აკოფაშვილი - 1 500 (ათას ხუთასი) ლარი, პ/ნ

**მუხლი 3**

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**მუხლი 4**

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ.№6 ) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო

კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

